

სს „ფრანს ავტო“

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს
ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური
ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი


ს ა რ ჩ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობა	5
კაპიტალის მოძრაობა	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	7

სს ფრანს ავტო
დირექტორი



სს ფრანს ავტო
მთავარი ბუღალტერი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ორგანიზაციის დასახელება: სს ფრანს ავტო

საიდენტიფიკაციო კოდი: 236098165

საანგარიშგებო პერიოდი - 2021 წელი

აქტივები				
	შენიშვნა	2021	2020	2019
ფულადი სახსრები	4	5 323 313	2 043 011	4 019 238
სავაჭრო მოთხოვნები	5	979 594	538 346	1 036 393
გადახდილი ავანსები		133 134	75 829	
მარაგი		1 269 756	1 833 969	960 637
- სხვა		1 269 756	1 833 969	960 637
სხვა მიმდინარე აქტივი	7	129 272	121 532	
ძირითადი საშუალებები	6	3 420 002	3 497 402	57 902
- სხვა ძირითადი საშუალებები				57 902
- არამატერიალური აქტივები		6 788	6 617	7 579
სულ აქტივები		11 261 858	8 116 705	6 081 749

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
ვალდებულებები	შენიშვნა	2021	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები		2 259 642	1 311 701	1 892 933
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	8	811 682	620 684	499 392
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		21 854	21 076	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9		2 011 509	771 033
სულ ვალდებულებები		3 093 178	3 964 969	3 163 358
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		2 000 000	1 000 000	1 000 000
საემისიო შემოსავალი		1 040 000	40 000	40 000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		5 128 680	3 111 735	1 878 391
სულ კაპიტალი		8 168 680	4 151 735	2 918 391
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11 261 858	8 116 705	6 081 749

სს ფრანს ავტო
დირექტორი

სს ფრანს ავტო
მთავარი ბუღალტერი

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება


შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

		2021	2020	2019
ნეტო ამონაგები	შენიშვნა	12 821 022	8 477 912	21 640 117
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება		(9 900 669)	(6 309 733)	(18 226 295)
საერთო მოგება		2 920 352	2 168 179	3 413 822
დასაქმებულთა ანაზღაურება		(938 494)	(847 928)	
ცვეთა/ამორტიზაცია		(93 829)	(22 928)	
საპროცენტო შემოსავალი		98 575	97 958	45 369
საპროცენტო ხარჯი			(43 045)	(47 293)
იჯარის ხარჯი			(218 355)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(186 202)	(223 171)	(1 129 912)
სულ საოპერაციო ხარჯი		(1 119 951)	(1 257 470)	(1 131 836)
სულ საოპერაციო მოგება		1 800 401	910 709	2 281 986
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		153 407	68 334	(131 576)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		63 137	254 300	(21 076)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		2 016 946	1 233 344	2 129 334
მოგება/ზარალი		2 016 946	1 233 344	2 129 334
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		2 016 946	1 233 344	2 129 334
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		2 016 946	1 233 344	2 129 334
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		4 151 735	2 918 391	789 057
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		1 000 000		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		1 000 000		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		8 168 681	4 151 735	2 918 391

სს ფრანს ავტო
დირექტორი



სს ფრანს ავტო
მთავარი ბუღალტერი




კაპიტალის მოძრაობა

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	1 000 000	40 000	1 878 391	2 918 391
სრული შემოსავალი			1 233 344	1 233 344
2020 წლის 31 დეკემბერი	1 000 000	40 000	3 111 735	4 151 735
სრული შემოსავალი			2 016 946	2 016 946
2021 წლის 31 დეკემბერი	2 000 000	1 040 000	5 128 681	8 168 681

სს ფრანს ავტო
დირექტორი



სს ფრანს ავტო
მთავარი ბუღალტერი



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	2 016 946	1 233 344
კორექტირებები:		
ცვეთა და მორტიზაცია	93 829	22 928
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	2 110 775	1 256 273
კლება/ზრდა:		
ცვლილებები მარაგში	564 213	(873 332)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(441 248)	498 047
ავანსების ცვლილება	(57 305)	(75 829)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	947 942	(581 232)
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	(778)	21 076
საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	(7 740)	(121 532)
ანარიცხები	190 998	121 292
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3 306 856	244 763
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(15 117)	(3 461 465)
მიმდინარე აქტივები		
კაპიტალის ცვლილება	1 000 000	
საემისიო კაპიტალის ზრდა	1 000 000	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	45 909	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	2 030 792	(3 461 465)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	(2 057 346)	1 240 476
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(2 057 346)	1 240 476
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	3 280 303	(1 976 226)
საბალანსო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2 043 011	4 019 238
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	5 323 313	2 043 011


სს ფრანს ავტო

დირექტორი



სს ფრანს ავტო

მთავარი ბუღალტერი



ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სს ფრანს ავტოს (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

სს „ფრანს ავტო“ (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2009 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 236098165, კომპანიის იურიდიული მისამართია, საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ბესიკის ქ., №4, მიმდებარედ ბინა №65.

კომპანიის ძირითადი სამეწარმეო საქმიანობაა რენოს ავტომობილების რეალიზაცია და სერვისი. სს ფრანს ავტო არის ავტომობილების მწარმოებელი რენოს ოფიციალური დილერი საქართველოში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელებს წარმოადგენდნენ სს „იმედი“ (არარეზიდენტი) (აქციების 100%). სს „იმედი“ - ს საბოლოო მაკონტროლებელია ფიზიკური პირი, გიორგი ცნობილაძე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ავტორიზებული სააქციო კაპიტალი შეადგენს 2 მილიონ ლარს. სააქციო კაპიტალი არის სრულად გამოშვებული და ანაზღაურებული. 1 აქციის ნომინალური ღირებულება არის 1 ლარი. საემისიო კაპიტალის რეზერვში აკუმულირდება სხვაობა აქციის ანაზღაურებულ მოცულობასა და ნომინალურ ღირებულებას შორის.

კომპანიის დირექტორია გიორგი ფალიანი პ/ნ 62001033956.

2. მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა

ამ ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოყენებული ძირითადი საადრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს)“ და ბუღალტრული ადრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ძირითადი ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

სს ფრანს ავტო
დირექტორი

სს ფრანს ავტო
მთავარი ბუღალტერი

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები ასახულია ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში გადაყვანით აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი სავალუტო კურსი:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ევრო	3.5040	4.0233

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

მარაგები. მარაგები ასახულია თვითღირებულებასა და გაყიდვების დანახარჯებით შემცირებულ, შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს შესყიდვის და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგის ადგილამდე ტრანსპორტირებისა და ახლანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება მარაგების შეფასება გაუფასურების გამოსავლენად. იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და მოგებაში ან ზარალში დაუყოვნებლივ აღიარდება გაუფასურების ზარალი.


ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას მაშინ ამატებს მისი შემცველი ნაწილების თვითღირებულებას, როდესაც მოხდება დანახარჯების გაწევა, თუ მოსალოდნელია,

სს ფრანს ავტო
დირექტორი



სს ფრანს ავტო
მთავარი ბუღალტერი



რომ შემცვლელი ნაწილი კომპანიას მომავალში მოუტანს სარგებელს. შემცვლელი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. სარემონტო და ტექმომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება მოგება ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დანახარჯები გაიწევა.

აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება რომ აქტივის თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს შემდეგ საზღვრებში:

შენობა - 15 - 20 წელი

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 2-10 წელი

სერვისის აღჭურვილობა - 5 - 10 წელი

სატრანსპორტო საშუალება - 5 - 10 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხდება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო სააღრიცხვო თარიღის შემდგომ.

აქტივების საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ასანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს შეზღუდული მომსახურების ვადა აქვს და ძირითადად მოიცავს შექმნილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს, რომლებიც ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.


არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, მათი შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება.

ანარიცხები ვალდებულებებისა და დანახარჯებისთვის. ვალდებულებებისა და დანახარჯებისათვის შექმნილი ანარიცხი არაფინანსური ვალდებულებაა, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა გაურკვეველია. მათი დარიცხვა ხდება, როდესაც კომპანიას აქვს წარსული მოვლენების შედეგად წარმოქმნილი მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქტიული ვალდებულება. მოსალოდნელია, რომ მის დასაფარად აუცილებელი იქნება კომპანიიდან რესურსების გასვლა, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი და ვალდებულების ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. თუ შედეგი არსებითია, ანარიცხები განისაზღვრება სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტორებით დაბეგრამდელი განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აუცილებლობის შემთხვევაში კონკრეტული ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

სს ფრანს ავტო
დირექტორი



სს ფრანს ავტო
მთავარი ბუღალტერი



სავაჭრო ვალდებულება. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი. სააქციო და საემისიო კაპიტალი სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის მფლობელების მიერ, რომელიც მოიცავს ნომინალური ღირებულებით ფულად შენატანს. კომპანიას აქვს 1 მილიონი აქცია ნომინალური ღირებულებით 1 ლარი. ნომინალურ ღირებულებაზე ნამეტით გამოშვებული და გაყიდული აქციებიდან მიღებული თანხები აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

კომპანია მაშინ აღიარებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის შესაფერისი კრიტერიუმი: კომპანიის ძირითადი საქმიანობა ავტომატურად და ტემომსახურებით ვაჭრობა, რომელიც წამოადგენს შემოსავლის მიღების ძირითად წყაროს.

მოგებიდან გადასახადი. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოსთვის გადასახდელია შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელი თარიღით (ა) მომხმარებლებისგან მოთხოვნის თანხების ამოღება ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი, როგორც წესი, ანაზღაურდება რეალიზაციასთან დაკავშირებულ დღ-სთან მიმართებით, დღ-ს ანაზღაურების ინვოისის მიღების მომენტში. საგადასახადო ორგანოები დღ-ს ანგარიშწორების უფლებას იძლევა ნეტო საფუძველზე. შესაბამისად, რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღ, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის დაფარული, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ნეტო საფუძველზე.

დივიდენდების განაწილება. კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდების განაწილება აღიარდება, როგორც იმ პერიოდის ვალდებულება, რომელშიც დამფუძნებლები დაამტკიცებენ დივიდენდებს.

სს ფრანს ავტო
დირექტორი

სს ფრანს ავტო
მთავარი ბუღალტერი

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალების ამა თუ იმ ობიექტის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ხელმძღვანელობის განსჯის საგანია და ეყრდნობა ანალოგიური აქტივების გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოცემული აქტივის მოსალოდნელი გამოყენების წესს, მისი ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი გამოიყენება. ამ პირობებიდან ან შეფასებებიდან რომელიმეს შეცვლამ, შესაძლოა გამოიწვიოს მომავალ პერიოდებში ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

3. ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და ხელმძღვანელობის მსჯელობის ძირითადი წყაროების შესახებ

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულების შესრულებას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უარის შეფასებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები, კომპანიის ახლანდელი მიზნები და მომავლის შესახებ თავისი მოლოდინები.

სს ფრანს ავტო
დირექტორი

სს ფრანს ავტო
მთავარი ბუღალტერი

4. ფულადი სახსრები

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული	5 424	2 691
ლარი საბანკო ანგარიშზე	4 274 095	2 038 119
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშზე	1 043 794	2 200
	<u>5 323 313</u>	<u>2 043 011</u>

5. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	<u>979 594</u>	<u>538 346</u>

6. ძირითადი საშუალებები

	31.12.2021	31.12.2020
მიწა	2 691 094	2 691 094
შენობა	673 161	752 078
სხვა ძირითადი საშუალებები	62 535	54 230
	<u>3 426 790</u>	<u>3 497 402</u>

7. მიმდინარე აქტივი

	31.12.2021	31.12.2020
საგადასახადო აქტივი	<u>129 272</u>	<u>121 532</u>

8. საგარეო ანარიცხები

	31.12.2021	31.12.2020
	<u>811 682</u>	<u>620 684</u>

9. სასესხო ვალდებულება

	31.12.2021	31.12.2020
მოკლევადიანი სესხი	<u>-</u>	<u>2 011 509</u>

სს ფრანს ავტო
დირექტორი

სს ფრანს ავტო
მთავარი ბუღალტერი